

შპს “რომენ ჯორჯია”

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2019

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	12
4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება.....	13
5. შემოსავალი.....	14
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	14
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	15
8. წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	15
9. წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	15
10. ფული და ფულის ექვივალენტები	15
11. მარაგები	16
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
13. ძირითადი საშუალებები	18
14. არამატერიალური აქტივები	19
15. აქტივის გამოყენების უფლება.....	19
16. მფლობელთა კაპიტალი	20
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
18. საიჯარო ვალდებულებები	20
19. მოგების გადასახადი.....	21
20. პირობითი ვალდებულებები	21
21. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
22. ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ	22
23. სამართლიანი ღირებულება.....	26
24. ფასს სტანდარტებზე გადასვლა.....	26
25. კაპიტალის რისკის მართვა	27
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “როშენ ჯორჯია“-ს დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “როშენ ჯორჯია“-ს (შემდგომში - “კომპანია”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (“ფასს სტანდარტები”) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

გამომდინარე იქიდან რომ, ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2019 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დაგვირგებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2019 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს მდგომარეობით არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 1,543,029 ლარი და 2,101,341 ლარი ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 2019 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე და მის შესადარის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2019 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში, ვერ შევძელით დავკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სალაროში არსებულ ფულადი სახსრების ინვენტარიზაციას, რომლის ოდენობამაც შესაბამისად შეადგინა 68,218 ლარი და 169,302 ლარი. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2019 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს მდგომარეობით სალაროში არსებული ფულადი სახსრების სისწორეში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სალაროში არსებული ფულად სახსრებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან მიმართებაში 2019 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებსა და მის შესადარის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (“ასს” -ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბესსს”) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (“ბესსს-ის ეთიკის კოდექსი”) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფასს-1 ის შესაბამისად, როგორც ფასს-ებით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება. აქვე აღვნიშნავთ, რომ შესადარისი მონაცემები ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აუდიტირებული, თუმცა ჩვენ ჩავატარეთ ალტერნატიული პროცედურები, როგორც ეს განსაზღვრულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პირველი წლის აუდიტის გარიგების დადების დროს.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს 2019 წლის მმართველობით ანგარიშს. სავარაუდოდ, 2019 წლის მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ

ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. როდესაც გავეცნობით 2019 წლის მმართველობით ანგარიშს, თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მასში, გვევალება ამ საკითხის ინფორმირება მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის. ასევე ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს სხვასთან ერთდ, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

28 დეკემბერი 2020

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა

უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს სხვასთან ერთდ, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

28 დეკემბერი 2020

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

RSM Georgia

ს. ჩუბინიძე

შპს "როშენ ჯორჯია"
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	5	25,288,905	10,738,880
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(22,698,777)	(9,479,484)
საერთო მოგება		2,590,128	1,259,396
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(2,806,728)	(1,332,146)
საპროცენტო შემოსავალი	10	2,403	3,990
ფინანსური ხარჯი	18	(22,902)	(13,117)
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	9	(184,170)	(101,746)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	8	62,801	2,449
ზარალი დაბეგვრამდე		(358,468)	(181,174)
მოგების გადასახადის ხარჯი	19	-	-
წლის ზარალი		(358,468)	(181,174)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(358,468)	(181,174)

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 დეკემბერს

აღმასრულებელი დირექტორი ივანე შუსტაკი _____

მთავარი ბუღალტერი გიგო ჯავახიშვილი _____

შპს "როშენ ჯორჯია"
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	5	25,288,905	10,738,880
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(22,698,777)	(9,479,484)
საერთო მოგება		2,590,128	1,259,396
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(2,806,728)	(1,332,146)
საპროცენტო შემოსავალი	10	2,403	3,990
ფინანსური ხარჯი	18	(22,902)	(13,117)
წმინდა ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	9	(184,170)	(101,746)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	8	62,801	2,449
ზარალი დაბეგვრამდე		(358,468)	(181,174)
მოგების გადასახადის ხარჯი	19	-	-
წლის ზარალი		(358,468)	(181,174)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(358,468)	(181,174)

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 დეკემბერს

აღმასრულებელი დირექტორი

ივან შუსტაკი

მთავარი ბუღალტერი

გიგო ჯავახიშვილი



შპს “როშენ ჯორჯია”
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	13	550,657	639,266	7,379
არამატერიალური აქტივები	14	16,265	22,550	1,066
აქტივი გამოყენების უფლებით	15	173,657	314,152	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		740,579	975,968	8,445
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	11	2,101,341	1,543,029	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	523,025	368,701	1,566
ფული და ფულის ექვივალენტები	10	248,181	513,135	28,132
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,872,547	2,424,865	29,698
სულ აქტივები		3,613,126	3,400,833	38,143
კაპიტალი და ვალდებულებები				
მფლობელთა კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	620,230	24,501	100
გაუნაწილებელი მოგება	16	(557,081)	(198,613)	(17,439)
სულ მფლობელთა კაპიტალი		63,149	(174,112)	(17,339)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	18	34,491	180,738	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		34,491	180,738	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	3,237,621	3,148,282	54,923
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	18	136,970	134,268	-
საგადასახადო ვალდებულება		140,895	111,657	559
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,515,486	3,394,207	55,482
სულ ვალდებულებები		3,549,977	3,574,945	55,482
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,613,126	3,400,833	38,143

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 დეკემბერს

აღმასრულებელი დირექტორი ივან შუსტაკი _____

მთავარი ბუღალტერი გიგო ჯავახიშვილი _____

შპს "როშენ ჯორჯია"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	13	550,657	639,266	7,379
არამატერიალური აქტივები	14	16,265	22,550	1,066
აქტივი გამოყენების უფლებით	15	173,657	314,152	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		740,579	975,968	8,445
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	11	2,101,341	1,543,029	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	523,025	368,701	1,566
ფული და ფულის ექვივალენტები	10	248,181	513,135	28,132
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,872,547	2,424,865	29,698
სულ აქტივები		3,613,126	3,400,833	38,143
კაპიტალი და ვალდებულებები				
მფლობელთა კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	620,230	24,501	100
გაუნაწილებელი მოგება	16	(557,081)	(198,613)	(17,439)
სულ მფლობელთა კაპიტალი		63,149	(174,112)	(17,339)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	18	34,491	180,738	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		34,491	180,738	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	3,237,621	3,148,282	54,923
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	18	136,970	134,268	-
საგადასახადო ვალდებულება		140,895	111,657	559
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,515,486	3,394,207	55,482
სულ ვალდებულებები		3,549,977	3,574,945	55,482
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,613,126	3,400,833	38,143

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 დეკემბერს

აღმასრულებელი დირექტორი

ივან შუსტაკი

მთავარი ბუღალტერი

გიგო ჯავახიშვილი



შპს “როშენ ჯორჯია“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
1 იანვარი 2018 ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე		100	(17,439)	(17,339)
კორექტირება	24	-	-	-
1 იანვარი 2018		100	(17,439)	(17,339)
კაპიტალის შევსება	16	24,401	-	24,401
წლის სრული შემოსავალი		-	(181,174)	(181,174)
31 დეკემბერი 2018		24,501	(198,613)	(174,112)
კაპიტალის შევსება	16	595,729	-	595,729
წლის სრული შემოსავალი		-	(358,468)	(358,468)
31 დეკემბერი 2019		620,230	(557, 081)	63,149

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 დეკემბერს

აღმასრულებელი დირექტორი ივან შუსტაკი _____

მთავარი ბუღალტერი გიგო ჯავახიშვილი _____

შპს “როშენ ჯორჯია“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
1 იანვარი 2018 ფასის სტანდარტებზე გადასვლამდე		100	(17,439)	(17,339)
კორექტირება	24	-	-	-
1 იანვარი 2018		100	(17,439)	(17,339)
კაპიტალის შევსება	16	24,401	-	24,401
წლის სრული შემოსავალი		-	(181,174)	(181,174)
31 დეკემბერი 2018		24,501	(198,613)	(174,112)
კაპიტალის შევსება	16	595,729	-	595,729
წლის სრული შემოსავალი		-	(358,468)	(358,468)
31 დეკემბერი 2019		620,230	(557, 081)	63,149

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 28 დეკემბერს

აღმასრულებელი დირექტორი

ივან შუსტაკი

მთავარი ბუღალტერი

გიგო ჯავახიშვილი



შპს “როშენ ჯორჯია“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
წლის ზარალი:		(358,468)	(181,174)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	13	419,553	105,444
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	12	104,099	32,986
წმინდა შემოსავალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	13	(32,338)	-
ფინანსური ხარჯი		22,902	13,117
საპროცენტო შემოსავალი		(2,403)	(3,990)
წმინდა ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	9	184,170	101,746
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცლილებამდე			
ზრდა სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	11	(558,311)	(1,543,029)
ზრდა დებიტორულ დავალიანებაში	12	(259,459)	(400,087)
ზრდა/(კლება) კრედიტორულ დავალიანებაში	17	(64,400)	3,149,576
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		(544,655)	1,274,589
მიღებული პროცენტები		2,403	3,990
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(542,252)	1,278,579
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	13	(234,095)	(678,327)
ძირითადი საშუალებების გასვლა	13	82,269	-
არამატერიალური აქტივების შეძენა	14	-	(21,945)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(151,826)	(700,272)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
წმინდა ზრდა ფინანსური ვალდებულებების	18	(166,448)	(70,802)
კაპიტალის წმინდა ზრდა	16	595,729	24,401
ფინანსური საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		429,281	(46,401)
ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში		(264,797)	531,906
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		513,135	28,132
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის		(157)	(46,903)
31 დეკემბრის მდგომარეობით	10	248,181	513,135

დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2020 წლის 28 დეკემბერს

აღმასრულებელი დირექტორი ივან შუსტაკი _____

მთავარი ბუღალტერი გიგო ჯავახიშვილი _____

შპს “როშენ ჯორჯია“
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
წლის ზარალი:		(358,468)	(181,174)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	13	419,553	105,444
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	12	104,099	32,986
წმინდა შემოსავალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	13	(32,338)	-
ფინანსური ხარჯი		22,902	13,117
საპროცენტო შემოსავალი		(2,403)	(3,990)
წმინდა ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	9	184,170	101,746
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცლილებამდე			
ზრდა სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	11	(558,311)	(1,543,029)
ზრდა დებიტორულ დავალიანებაში	12	(259,459)	(400,087)
ზრდა/(კლება) კრედიტორულ დავალიანებაში	17	(64,400)	3,149,576
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		(544,655)	1,274,589
მიღებული პროცენტები		2,403	3,990
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(542,252)	1,278,579
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	13	(234,095)	(678,327)
ძირითადი საშუალებების გასვლა	13	82,269	
არამატერიალური აქტივების შეძენა	14	-	(21,945)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(151,826)	(700,272)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
წმინდა ზრდა ფინანსური ვალდებულებების	18	(166,448)	(70,802)
კაპიტალის წმინდა ზრდა	16	595,729	24,401
ფინანსური საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		429,281	(46,401)
ცვლილება ფული და ფულის ექვივალენტებში		(264,797)	531,906
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		513,135	28,132
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის		(157)	(46,903)
31 დეკემბრის მდგომარეობით	10	248,181	513,135

დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2020 წლის 28 დეკემბერს

აღმასრულებელი დირექტორი

ივან შუსტაკი

მთავარი ბუღალტერი

გიგო ჯავახიშვილი



1. ზოგადი ინფორმაცია

(ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „როშენ ჯორჯია“ (შემდგომში “კომპანია”) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით 2019 წლის 11 ნოემბერს (ს/კ.400223904), სათაო ოფისი მდებარეობს საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, თენგიზ ჩანტლაძის ქ., N40/დიდი ლილო, თეთრი ხევის დასახლება.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტკბილეულის იმპორტი და რეალიზაცია.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელად 2019 წლის 16 დეკემბერს დარეგისტრირდა შპს როშენ ნორდ (ლიეტუვა ს/ნ 300580392), მანამდე კომპანიას ფლობდა „შვილობილი საწარმო საკონდიტრო კორპორაცია როშენ“ (უკრაინა ს/ნ 25392188). კომპანიის საბოლოო ბენეფიციარს წარმოადგენს სს „კონდიტერინგესტი“ (უკრაინა 36633361).

(ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2019 წლის საანგარიშგებო პერიოდი პირველია, როდესაც კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგებების მთლიანი კომპლექტი, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგებები, რომლებიც შესაბამისობაში მოდის 2019 წლის 1-ლი იანვრისთვის არსებულ სტანდარტებთან. ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, კომპანიამ მოამზადა პირველად ფინანსური ანგარიშგებები 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის, რომელიც წარმოადგენს კომპანიის გადასვლის თარიღს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე. დეტალები კომპანიის ფასს სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით იხილეთ განმარტებით შენიშვნა #24-ში.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

თანხების დამრგვალება

ამ ანგარიშში თანხები მრგვალდება უახლოეს ათას ერთეულამდე, ან გარკვეულ შემთხვევებში, უახლოეს ერთეულამდე.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან.

შემოსავალი აღიარებულია იმ ოდენობით, რაც ასახავს კომპანიის მოლოდინს, იმის შესახებ თუ რამდენს მიიღებს მომხმარებლისგან გარკვეული პროდუქტის მიწოდების შემთხვევაში. მომხმარებელთან დადებული თითოეული კონტრაქტისთვის კომპანია განსაზღვრავს: ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც დგინდება სვადასხვა ცვლადი გარემოებების და ფულის დროში ღირებულების გათვალისწინებით; გარიგების ფასს ანაწილებს ცალკეულ შესრულების ვალდებულებაზე, თითოეული საქონლის ან მომსახურების ცალკეული მიწოდების ფასის საფუძველზე. კომპანია შემოსავალს აღიარებს როცა თითოეული ვალდებულების შესრულება ხდება იმ გზით, რაც გულისხმობს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას.

ცვლადი ფაქტორები ტრანზაქციის ფასის განსაზღვრისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასახავს მომხმარებლისთვის გაწეულ ფასდათმობებს, ფასდაკლებას და კომპენსაციას, მომხმარებლის მხრიდან მისაღები ნებისმიერ შესაძლო ბონუსს და სხვა კონტინგენციას. აღნიშნული ფაქტორები განისაზღვრება “მოსალოდნელი ღირებულების” ან “სავარაუდოდ მიღებული ანაზღაურების” მეთოდით. ცვლადი ფაქტორებს განსაზღვრა ექვემდებარება შემაკავებელ პრინციპს, რომლის მიხედვითაც შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სავარაუდოა, რომ არ მოხდება აღიარებული კუმულაციური შემოსავლის ოდენობის მნიშვნელოვანი შეცვლა. განხილვა მიმდინარეობს სანამ არ აღმოიფხვრება ცვლად ფაქტორებთან დაკავშირებული გაურკვევლობები. მიღებული თანხები, რომლებიც ექვემდებარება შემაკავებელ პრინციპს, აღიარებულია როგორც უკან დაბრუნების ვალდებულება.

პროცენტის შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ყველა სესხის ინსტრუმენტზე, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყველა სხვა საფასური, საკომისიო და სხვა შემოსავლები და ხარჯები, ძირითადად აღირიცხება დარიცხვის საფუძველზე, კონკრეტული გარიგების დასრულების სტადიის გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

	<u>სასარგებლო მომს. წლების განმავლობაში</u>
საოფისე ინვენტარი	3 წელი
ავეჯი	2-5 წელი
მარკეტინგული ინვენტარი	3 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	2-5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

1) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;

2) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

3) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს;

4) იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება აღიარდება იჯარის ძალაში შესვლის დაწყების თარიღით. საიჯარო ვალდებულება აღიარდება პერიოდულად გადასახდელი საიჯარო თანხების დისკონტირებული ღირებულებით, დისკონტირება უნდა გაკეთდეს საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთით, თუ საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრა ვერ მოხერხდა ვიყენებთ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს. საიჯარო ღირებულება მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მისაღები პრემიის, ცვლადი გადახდების, სალიკვიდაციო ღირებულების, შესყიდვის ღირებულების და მოსალოდნელი შეწყვეტის ჯარიმების გამოკლებით. ცვლადი გადასახდელები, რომლებიც არა არის დამოკიდებული ინდექსზე და განაკვეთზე აღიარდება ხარჯად იმავე პერიოდში.

საიჯარო ვალდებულება იზომება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიმდინარე ღირებულების გადახედვა ხდება იმ შემთხვევებში თუ: მოსალოდნელი საიჯარო გადასახდელები იცვლება ინდექსით ან საპროცენტო განაკვეთით, ნარჩენი ღირებულების საგარანტიო, ლიზინგის პირობები და შეწყვეტის ჯარიმები. საიჯარო ვალდებულების გადახედვისას, კორექტირება ხდება აქტივის ღირებულების ან მოგება-ზარალში თუ აქტივის ღირებულება სრულად არის ჩამოწერილი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარება ხორციელდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოთვლა ხორციელდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებელის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა არის შემდეგია: 1-დან 5-წლამდე. განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები.

მოძველებული მარაგების ჩამოწერა ხორციელდება წმინდა სარეალიზაციო ღირებულების გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

აღიარება და შემდგომი შეფასება

კომპანია აღიარებს გაუფასურების რეზერვის ხარჯს იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით წლის მოგება/ზარალში. გაუფასურების რეზერვის ხარჯი დამოკიდებულია კომპანიის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასების მიხედვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, დასაბუთებული ინფორმაციის საფუძველზე.

იმ შემთხვევაში როცა პირველადი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის ზემოქმედების მნიშვნელოვანი ზრდა არ ყოფილა, შეფასებულია 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს წარმოადგენს აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც მიეკუთვნება ნაგულისხმევ მოვლენას, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში. როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდა ან თუ დადგინდა, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზარალის ანაზღაურება ხდება აქტივის სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. სავარაუდო საკრედიტო ზარალის ოდენობა იზომება ფასის სავარაუდო დეფიციტის სავარაუდო შეწონილი ღირებულების საფუძველზე, რომელიც ფასდაკლებულია თავდაპირველი ეფექტური პროცენტით.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებზეც სავალდებულოა შეფასებულ იქნას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში, ზარალის ანაზღაურება აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში შესაბამისი ხარჯებით. ყველა სხვა შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვის ხარჯი ამცირებს აქტივის საბალანსო ღირებულებას შესაბამისი ხარჯით სრულ მოგება/ზარალში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით)

გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

გაუფასურება

შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება გაუფასურების ზარალის შესახებ:

-ვადაგადაცილებული და დაგვიანებული გადახდა რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებას;

- კონტრაგენტი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რასაც მოწმობს მისი ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც კომპანია იღებს;

- კონტრაგენტი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის საკითხს;

- შეიქმნა უარყოფითი ცვლილება მხარის გადახდის სტატუსში ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მხარზე; ან

- გირაოს ღირებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად იკლებს საბაზრო პირობების გაუარესების შედეგად.

გაუფასურების ჯგუფის შეფასების მიზნით, ფინანსურ აქტივებს თან ახლავს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულება კორექტირდება, რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან

2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

წინასწარი გადახდა. წინასწარი გადახდა აღირიცხება თვითღირებულებით მიწის გაუფასურების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). წინასწარი გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიიღება სავარაუდოდ ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა ეხება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თვითონ კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადასვლა აქტივის საბალანსო ღირებულებაში ხდება, მას შემდეგ რაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს აქტივებზე და სავარაუდოდ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელის მიღებას. სხვა წინასწარი გადახდები აღიარდება მოგება ზარალში, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს იმის ინდიკატორი ეომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება ზარალში როგორც გაუფასურებულად.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორისის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის	2.8677	3.2095
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის	2.6766	3.0701

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე მოქმედი შეფასებებისა და დაშვებების მომზადებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ. მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. შედეგად მიღებული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და შეფასებები შეესაბამება რეალურ შედეგებს.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღიარებისას, კომპანიის ვალდებულება შესრულებულად ითვლება საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდების მომენტში, რადგან თვლიან, რომ ეს არის დრო, როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი ზემოთაღნიშნულ საქონელზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრა მოითხოვს შეფასებას და მსჯელობას. იგი დაფუძნებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რომელიც დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე და აკეთებს ვარაუდს, განისაზღვროს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი თითოეული ჯგუფისათვის. ეს ვარაუდები ეფუძნება ბოლოდროინდელი გაყიდვების და ისტორიულ გამოცდილებებს.

მარაგების გაუფასურება. მარაგების გაუფასურების ანარიცხის შეფასება საჭიროებს შეფასებას და მსჯელობას. ანარიცხის დონის შეფასება ხდება იმ ბოლოდროინდელი გაყიდვების გამოცდილების, მარაგების დამკველების და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს მარაგების ფასის განსაზღვრაზე.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა. კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო სიცოცხლის მომსახურების ვადას, თავისი ძირითადი საშუალებების და განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის. სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური ინოვაციების ან რაიმე სხვა მოვლენის შედეგად. ცვეთისა და ამორტიზაციის ოდენობა გაიზრდება როცა აქტივის გამოყენების ვადა იქნება ნაკლები ვიდრე ადრე შეფასებული მომსახურების ვადა.

